შეტყობინება მესამე

მორწმუნეების მიერ ღმერთის მადლის განცდა ღმერთის სახლმშენებლობაში მოიპოვებს დასრულებას ეკლესიაში როგორც ქრისტეს ორგანულ სხეულში

ადგილები წერილიდან: იოანე 1:16; რომ. 12:6; 1 კორ. 1:2-4; 2 კორ. 13:14; გალ. 6:18; ეფეს. 4:7, 29; ფილიპ. 4:23; გამოცხ. 22:21

I. ახალი აღთქმისეული მორწმუნეების ცხოვრება მადლის ქვეშ ღმერთის სახლმშენებლობაში არის მიზანმიმართული ცხოვრება გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთის როგორც მადლის განცდისა – გალ. 6:18; ებრ. 4:16; გამოცხ. 22:21:

ა. ქრისტიანული ცხოვრება უნდა იყოს მადლის ცხოვრება, მადლის განცდა; ჩვენი ქრისტიანული ცხორება – ეს, არსებითად, არის სიცოცხლე ღმერთის მოპოვებისა როგორც ჩვენი მადლისა – 2 კორ. 1:12.

ბ. გამოთქმა „მთლიანი ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება არის ცხოვრება გამზადებული სამერთიანი ღმერთისა, რათა იყოს ჩვენთვის მადლი – 13:14.

გ. შედგენილი სული ყოველ დღე მოძრაობს ჩვენში როგორც ცხებულება, რათა ჩვენ დავტკბეთ გამზადებული სამერთიანი ღმერთით როგორც მადლით – 1 იოანე 2:20, 27.

დ. უფალ იესო ქრისტეს მადლი, მადლის სული, არის ჩვენს სულან, რომელიც იყო ხელახლაშობილი და გახდა საცხოვრებელი და ჭურჭელი სამერთიანი ღმერთისა – ებრ. 10:29ბ; გალ. 6:18; ფილიპ. 4:23; ფილიმ. 25; 2 ტიმ. 4:22.

ე. ჩვენ ვართ ისინი, ვინც მიიღო მადლი, ანუ სამერთიანი ღმერთი – მამა, მოცემული ჩვენთვის ძეში, და ძე, რომელიც ხდება ნამდვილი ჩვენთვის როგორც სული, დამკვიდრებული ჩვენს სულში – 1 კორ. 15:45ბ; 6:17.

ვ. ვინაიდან ჩვენ ვართ წმიდანები, უფლის მადლი უნდა იყოს თითოეულ ჩვენგანთან ყველა ასპექტში ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა – ფილიპ. 4:23; ეფეს. 4:7.

II. ნამდვილ ეკლესიას აქვს თავის საფუძვლად მადლი, მიცემული მისთვის ქრისტე იესოში – 1 კორ. 1:2-4:

ა. ღმერთის მადლი არ ეძლევა ეკლესიას სულიერების ან ეკლესიის მდგომარეობის საფუძველზე.

ბ. ღმერთის მადლი თვითონ არის ეკლესიის საფუძველი – 16:23.

გ. პავლე მადლობას უხდის ღმერთს 1 კორ. 1:4-ში მადლის ნიჭის საფუძველზე, რომელიც მიცემული აქვს ეკლესიას ქრისტე იესოში.

დ. ეკლესია დგას მადლის საფუძველზე, რათა მიიღოს უფრო მეტი მადლი – გამოცხ. 22:21.

ე. ჩვენ მივიღეთ მადლი როგორც ჩვენი საფუძველი, და ჩვენ ვდგავართ მადლის საფუძველზე, და არა ჩვენი თვისებების, სათნოებებისა და აღმატებულების საფუძველზე, ამიტომ ჩვენ გვაქვს უფლება, მივიღოთ მეტი მადლი და მადლი მადლზე – იოანე 1:16.

III. მორწმუნეების მიერ ღმერთის მადლის განცდის დასრულება ღმერთის სახლმშენებლობაში არის ეკლესია როგორც ქრისტეს ორგანული სხეული – 1 კორ. 12:12-13, 27; ეფეს. 1:6-8, 22-23:

ა. მადლი – ეს არის ცირკულირებადი სამერთიანი ღმერთი, რომელიც არიგებს ჩვეში ყველაფერს, რაც ის არის, ჩვენი ტკბობისათვის; მთელი ეკლესიური ცხოვრება დამოკიდებულია მადლზე როგორც ღვთაებრივი სამების ცირკულირებაზე ჩვენ შიგნით – 1 პეტ. 5:10; საქმე. 4:33; 2 კორ. 8:1; 13:14.

ბ. პრაქტიკული ცხოვრება და აშენება ქრისტეს სხეულისა გამოდის ღმერთის მადლის შინაგანი ტკბობიდან – 1 კორ. 1:9; 2 კორ. 13:14.

გ. თითოეული ნაწილი ქრისტეს ორგანული სხეულისა არის შედეგი ღმერთის მადლისა ღმერთის სახლმშენებლობაში – რომ. 12:4-6ა.

დ. სხეულში ჩვენ გვაქვს ნიჭები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩვენთვის მოცემული მადლის თანახმად და არის შედეგი ჩვენ მიერ ქრისტეს მადლის განცდისა – მუხ. 6:

1. ეს მადლი არის ღმერთი ქრისტეში როგორც ღვთაებრივი ელემენტი, რომელიც შემოდის ჩვენს არსებაში, რათა გახდეს ჩვენი სიცოცხლე ჩვენი ტკბობისათვის – იოანე 1:16; 2 კორ. 13:14.
2. როდესაც ეს მადლი შემოდის ჩვენში, მას მოაქვს გარკვეული სულიერი ცოდნისა და შესაძლებლობების ელემენტი, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეში ზრდასთან ერთად ვითარდებიან და ხდებიან ნიჭები სიცოცხლეში, რაც ნებას გვაძლევს ჩვენ ვიფუნქციონიროთ ქრისტეს სხეულში და ამის მეშვეობით ვემსახუროთ ღმერთს – რომ. 12:6-8.
3. რომ. 12:6-ში ნიჭები განსხვავდება მადლის თანახმად; ეფეს. 4:7-ში მადლი გვქონდა მოცემული ნიჭის თანახმად:
   ა) მადლი არის ღვთაებრივი სიცოცხლე, რომელიც წარმოქმნის და ამარაგებს ნიჭებს.
   ბ) რომაელთა მიმართ წერილის მე-12 თავში მადლი წარმოქმნის ნიჭს, ამიტომ ნიჭი გვეძლევა მადლის თანახმად.
   გ) ეფესელთა მიმართ წერილის მე-4 თავში მადლი გვეძლევა ნიჭის თანახმად, ნიჭის ზომის თანახმად.

ე. ეკლესიაში როგორც ქრისტეს ორგანულ სხეულში ჩვენ არ უნდა მივცეთ ნება არავითარ გახრწნილ სიტყვას, გამოვიდეს ჩვენი ბაგედან, „არამედ მხოლოდ კეთილს აშენებისათვის, თანახმად საჭიროებისა, რათა ის აძლევდეს მადლს მათ, ვინც ისმენს“ – მუხ. 29:

1. ჩვენმა სიტყვებმა, რომლებსაც ჩვენ ვეუბნებით სხვებს, უნდა გადმოსცეს მადლი, ქრისტე როგორც ჩვენი ტკბობა და შეწევნა – 2 კორ. 13:14; რომ. 16:20; 1 კორ. 16:23; გალ. 6:18.
2. სიტყვებს, რომლებიც აშენებენ სხვებს, ყოველთვის მოაქვთ მსმენელთათვის ქრისტე როგორც მადლი – ეფეს. 4:29.

IV. ეფეს. 3:2-ში მოციქული პავლე ამბობს, რომ მადლის სახლმმართველობა მიცემული ჰქონდა მას სხეულის ასოებისათვის – 5:30:

ა. ეფეს. 3:2-სა და 9-ში პავლე იყენებს ბერძნულ სიტყვა „ოიკონომიას“; მე-9 მუხლში ეს სიტყვა მიუთითებს ღმერთის სახლმშენებლობაზე, ხოლო მე-2 მუხლში ის მიუთითებს მოციქულის სახლმმართველობაზე.

ბ. ღმერთის მადლის სახლმმართველობა მოცემული გვაქვს ჩვენ იმისათვის, რომ ჩვენ ვიცხოვროთ და ვიმსახუროთ ქრისტეს სხეულის ასაშენებლად – მუხ. 2-7:

1. სახლმმართველობა მადლის არის ის, რომ დავარიგოთ მადლი ღმერთისა მის ამორჩეულ ადამიანებში ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის წარმოსაქმნელად და ასაშენებლად – 1 კორ. 4:1-2.
2. ამ სახლმმართველობიდან გამომდინარეობს მოციქულის მსახურება, რომელიც არის სახლმმართველი ღმერთის სახლში, და რომელსაც მიაქვს ქრისტე როგორც ღმერთის მადლი ღმერთის სახლეულისათვის – 9:17.
3. პავლეს მსახურება არის ის, რომ დაურიგოს მორწმუნეებს ქრისტეს სიმდიდრე როგორც მადლი მათი ტკბობისათვის – ეფეს. 3:8.
4. ღმერთის სახლმშენებლობა დაკავშირებულია თვით ღმერთთან, მაგრამ მადლის სალმმართველობა მიცემული ჰქონდა არა უბრალოდ პავლეს როგორც ერთ ადამიანს; ეს სახლმმართველობა მიცემული აქვს ყველა მორწმუნეს.
5. მადლის სახლმმართველობა არის საყოველთაო; ქრისტეს სხეულისათვის ყველა წმიდანს აქვს მადლის სახლმმართველობა თანახმად ღმერთის სახლმშენებლობისა – მუხ. 2, 9.

© Living Stream Ministry, 2022